



«სხვა საქართველო ამ არის!..»

რუსეთმა საქართველოს წელში გატაცა მოიხდომა

სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება...



ნინო ცხომიძე

ორი კვირის წინ რომ დავემშვიდობებო, არ მეგონა, ასე უცებ თუ განდობოდა საჭიროება, „ემიგრანტების“ სპეციალურ შეხვედრაში მონაწილეობა. ეს ჩვენი თანამემამულეების გამოგზავნილმა წერილებმა და სატელეფონო ზარებმა გადააწყვეტინა და შემდეგ მათმა არანახულმა ერთსულოვნებამ.

ჩვენმა მუდმივმა მკითხველებმა უწყინარ, რომ რუსეთის შვიტარა აგრესიამდე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის მოსალოდნელი აღიარების შესახებ გაზაფხულზე გაკეთებულმა მისმა სიტყვიერებას განცხადებებამაც აღაშფოთა უცხოეთში მცხოვრები ქართველები. ამას აპრილ-მაისში საპროტესტო აქციების ტალღა მოჰყვა. თუმცა, არა ისეთი მასშტაბური, როგორც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ქართულმა საინფორმაციო არხებმა და უცხოურმა საიტებმა გაავრცელეს ინფორმაციები ცხინვალისკენ ჩვენი შენაერთების გადაადგილებისა და შემდგომ მისი გაკონტროლების შესახებ, უცხოეთიდან ჩვენი მკითხველების კონტაქტები გახშირდა. ისინი განიცდიდნენ ქვეყნის ბედსაც და საქართველოში დარჩენილ, თუ შევბუღებული ჩამოსული ოჯახის წევრების მდგომარეობაც ადარდებდათ. ბევრს შვილი ჰყავდა გამოგზავნილი საქართველოში და მის შესახებ არაფერი იცოდა. ამდენად, ჭკუის დარიგება, პანიკას არ აპყვეთო, ვერაფერი გამართლებათ, მით უმეტეს, როცა ეს პანიკა ხშირად ქვეყნის მმართველობის ხედა ემდებოდა და მოდიოდა - არიქა, რუსის ჯარი თბილისს უახლოვდებაო.

ამასთან დაკავშირებით განჩნდა აუცილებლობა, სისტემატურად მიგვეწოდებინა მათთვის ინფორმაციები, რომელიც წყაროების მიერ იქნებოდა სხვადასხვა სახლო წყაროების მიერ და ისიც, რასაც ოფიციალურად აცხადებდნენ ტელევიზიით ურუნდისტები, თუ ხელისუფალი. ამის ორგანიზებისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორის ალექსანდრე რუსეცკის ინიცია-

ტივით, ოპერატიულად შეიქმნა მობილური საინფორმაციო ჯგუფი, რომელმაც საზღვარგარეთ და ქართულ საიტებზე განათავსა ინფორმაციები „თბილისის საინფორმაციო სააგენტო“-ს სახელით. სამწუხაროდ, ქართულმა ტელეარხებმა (გარდა საზოგადოებრივი ტელევიზიისა) ნაკლები ყურადღება დაუთმეს ამ წინააღმდეგობრივ უცხოეთში მას არა მარტო მკითხველები და დინტერესებული პირები, მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. ქართველმა და უცხოელმა მოქალაქეებმა მოგვაწოდეს ინფორმაციები სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული საპროტესტო აქციების შესახებ და ასევე ვაცნობეს, რომ ჩვენი ინფორმაციების გასავრცელებლად სპეციალური საიტები გახსნეს.

ამდენად, განჩნდა საშუალება დაგვეძლია ის ინფორმაციული ვაკუუმი და ომი, რომელიც რუსეთმა, შეიარაღებული აგრესიის პარალელურად წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ ასე არ შევუდგებით იმის გარკვევას, ვისი მხრიდან გავარდა პირველი ტყვიანი ვინ წამოიწყო პროვოკაცია. ასე მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვიქცევით (ისევე, როგორც ოპოზიცია, ალბათ). მაგრამ ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი და ჩვენ თუ არა, უცხოური მედია მაინც სისტემატურად აშუქებს სტატუსებს ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების ციტირებით. მთავარია, რუსეთმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და რაც ყველაზე გასაოცარია, მან იგნორირება გამოუხატა ამერიკასაც და ევროპულ სტრუქტურებსაც, რომლებიც ჩვენთვის ჩვეული ლოზუნგით „ლაპარაკი საქმის ნაცვლად“ მოქმედებდნენ. არავის ეგონოს, სლოგანი შემეშალა...

უცხოურ საიტებზე განჩნდა სტატუსები იმის შესახებაც, რომ ბუქსინა და პუტინის რეპუტაცია დაეცა. მაშინ ბატარა ქვეყნის ლიდერის ვის უნდა გაუკვირდეს? თუმცა, ჩვენი თანამემამულეები იმასაც კითხულობდნენ, რატომ იყო საქართველო, რუსეთისაგან განსხვავებით, ასე მოუშვადებული ამ დაპირისპირებისთვის, როცა ორივე მხარე აცხადებდა, რომ ომი მოსალოდნელი იყო. თუმცა, ორივე ერთმანეთს აბრალებდა ამის პროვოცირებას და დღემდე ეს პოზიცია გრძელდება. ქართველ ემიგრანტებს ისიც აინტერესებთ, თავდაცვაზე მიმართული გზარდობი ბიუჯეტი რატომ არ შემოიჭრება საკმარისი იმისათვის, რომ 3-პერიოდს, სმელეთიდან და ზღვიდან ასე დაუცველი არ დავრჩენილიყავით. ან ირაკლი ოქრუაშვილის გეგმის განხორციელებას რატომ არ შეუწყვეს ხელი, თუ კონფლიქტის მშვიდობიანი გზა მაინც გამოირიცხული უნდა ყოფილიყო, ან თავად ირაკლი ოქრუაშვილმა საყვედურის ნაცვლად, რატომ გამოთქვა მხად-გაზრდა სენაკში განხორციელებული აბოზმების სახლი უნდა. 6 კი პორტის მეშვიდე ტერმინალში მომხდარი აფეთქებებისას. ასევე ბევრია დაჭრილი.

რამდენიმე სახლო წყაროს ინფორმაციით, დაღუპულთა შორის უმეტესობა 18-20 წლის ბიჭები არიან. ისინი მოულოდნელად ქუჩებში აიყვანეს მონაღისეებად და რუსეთის ტყვეად. ხოლო დაზარალების ტყეში განიხუნულმა ოფიცრებმა მიატოვეს.

იმვე წყაროს ცნობით, მარტო სამი საათის განმავლობაში ფოთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 30 მანქანა გავიდა, რომელმაც ევაკუირებული მოქალაქეები გაიყვანა. ფოთელი სახლური ტოვებენ და როგორც გურუის, ისე სამეგრელოს მიმართულებით, ნათესავეთა აფარებენ თავს.

პასუხი. ეგებ საერთაშორისო თანამეგობრობის თათბირებსა და რამდენჯერმე ხელმოწერილ განცხადებებზე უფრო ეფექტური გამხდარიყო მისი ქმედებები?!

და მაინც, მიუხედავად იმისა, ვინ უჭერდა მხარს ამ ხელისუფლებას და ვინ არა, საპროტესტო აქციების ტალღა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაინც ხალხმრავალი გამოდგა. თუმცა, ისინი, ვინც ტელეკრანებიდან აღვივებდნენ თვალ-ყურს რუსთაველზე მეგობარი ქვეყნებისა და საქართველოს პრეზიდენტების მონაწილეობით მიმდინარე მიტინგებს, გარკვეული გაღიზიანებაც გამოთქვეს იმის გამო, რომ განწყობა არასამგლოვიარო იყო.

ისინი კი, ვისაც არც სმა მიუცია ამ ხელისუფლებისთვის და არც მიტინგზე გასულან, ვერ ივიწყებენ 7 ნოემბერს და სამშობლოს უზომო სიყვარულის მიუხედავად, არ მიაჩნიათ, რომ სააკაშვილის დასაცავად გულზე ხელდადებულებმა უნდა იმღერონ ჰიმნი, რათა საქართველომ არ დაიხოქოს და რუსეთმა მისთვის სასურველი პრეზიდენტი არ დაგვისვას. „ჩვენ სააკაშვილს კი არა, საქართველოს ვიცავთ და რუსეთს არ მივცემთ უფლებას, ჩვენი ხელისუფლების საკითხები მართოს“ - ამბობენ ისინი, ვინც არც ისე დიდი ხნის წინ გაზოტა გაუდღულები რუსთაველზე სასტიკ დარბევას ვერ გადაურჩნენ. ამ პოზიციას გამოხატავს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძეც. ასლებიც ამ ეტაპზე თავს არიდებენ რეალური ვითარების გაანალიზებას. მაგრამ ხალხს აკვირებს ბევრი ისეთი ლიდერის დუმილი, რომელიც ადრე ძალიან აქტიურობდა ოპოზიციაში. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამას ზაფხულის სეზონით ხსნის. თუმცა, უცხოეთში მცხოვრები პოლიტიკოსები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, აღმოვითქვამს ვერ მალავენ მომხდარი უბედურებისა და ოპოზიციის პასიურობის გამო.

ამასობაში ილუპებთან უდაბნაშაულო ადამიანები და რეზერვისტები, რომლებსაც სამხედრო სწავლებაც არ გაუვლიათ. როგორც ამბობენ, ამერიკელების გაყვრთნილი „კომანდოს“ ბატალიონი გმირულად იბრძოდა. არავინ იცის მსხვერპლის რაოდენობა. ფაქტია, განადგურებულია თითქმის მთელი საქართველო, როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. დაიღუპნენ ჩვენი ქართველი და უცხოელი კოლეგები. რამდენად ღირდა ეს მსხვერპლი იმად, რომ თუნდაც 18 წლის გაყვნილი კონფლიქტი დაძრულიყო?! ახლა ხომ მეტი ტერიტორია დაეკარგეთ, მეტი ადამიანი დაგვეღუპა და ლტოლვილთა რაოდენობაც თითქმის გაკვირმავდა და არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულნიც! „საერთაშორისო წითელ ჯვარსაც“ არ ეძლევა საშუალება, უსაფრთხოდ გადაადგილდეს კონფლიქტის რეგიონის გაფართოებულ მასშტაბებში და ცოცხლად დარჩენილების გამოყვანასთან ერთად დაღუპულების გადამოხვევებზეც იზრუნოს. ცხელი ხაზები კი გაიხსნა, მაგრამ ერგენთვის მიმარ-



თულებით რა ხდება და ვინ დარჩა იქ ცოცხალი, პასუხის გაცემა არავინაა. სენაკიდან და ფოთიდან რუსული, კახაკური და ჩენჩური შენაერთები ხან გამოდიან და ხან ისევ ბრუნდებიან! ასეთი გაჭირვებულები სად იპოვეს, ნახმარი ფეხსაცმლის და ცოცხის ნადავლად წაღება დიდ ბედნიერებად რომ მიაჩნიათ. რაც ვერ მიიქვთ, ან იქვე ანადგურებენ, ან გზადაგზა... ცეცხლს მისცეს ჩვენი უღამაზესი ტყეები და როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უბედურება, არავინ იცის. ის კი არა და, კონდოლიზა რაისის წარმოგზავნილმა მეითუ ბრაიზამაც ვერ გაიგო, ამ მსოფლიოში ვინ არის ლიდერი.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც მოსალოდნელია, საკვების ნაკლებობაა. მალაზიებს უკვე დაეძაქლა ქმით დატყუთ პროდუქტების დეფიციტი. ამას გარდა, არის საშიშროება, რომ ემიგრაციის ტალღა კიდევ უფრო გაიზარდოს. იმედია, ეს მოსაზრებები დეზინფორმაციად არ ჩაგვეთვლება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულად შეფასდა. თითქოს ის საკმარისი არ იყო, რომ სიტყვის თავისუფლების პრობლემა მანამდეც იდგა საქართველოში.

ჩვენი ხსნა, როგორც ჩვენმა პატრიარქმაც აღნიშნა, მხოლოდ ლოცვასა და ღვთისადმი სიყვარულშია. თორემ ერთმორწმუნე რუსები უკვე ჩვენს სალოცავებსაც არ ინდობენ და დარბევის გარდა, წართმევიანაც გვემუქებიან.

ღმერთო, შენ დაიფარე ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და შეუნდე ცოცხალ ხალხს თავისი შეცდომები!

ქურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი

მოკლედ...

სენაკში რას დასაბოძა იყო. ყველაფერი დაბოძა
„სენაკში ორი დღის განმავლობაში განხორციელებული დაბოძების შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა. მაგრამ ზუსტი რიცხვი არც ტელევიზიით ცხადდება და არც ჩვენ ვიცით. რადგან ქუჩაში გასვლას აქამდე ვერ ვახერხებდით“ - აცნობა სენაკელმა ქალბატონმა თბილისის საზოგადოებრივი საინფორმაციო სააგენტოს.

მისი თქმით, ამაჟერად სენაკში სიმშვიდეა, რადგან ყველა სტრატეგიული ობიექტი დაბოძეს: სამხედრო ბაზა, რკინიგზა და შეიღობიანი მოსახლეობაც კი. მიუხედავად ამისა, სენაკში მოსახლეობის ევაკუაცია შეიმჩნევა. ხალხი ნათესავეებთან სოფლებში აფარებს თავს, სადაც მათი აზრით საფრთხე, თითქოს უფრო ნაკლებია, მაგრამ 15 და 16 აგვისტოს შეიარაღებული ფორმირებები კვლავ დაბრუნდნენ სენაკის რაიონში და უკვე სოფლების დათვალიერება დაიწყეს. შეშინებული მოსახლეობა ყანებში დაიმალა, საბედნიეროდ, აქ დაპირისპირება არ მოხდარა.

ფოთილები ძალას გოვებან

ამის შესახებ თბილისის საინფორმაციო სააგენტოს ფოთიდან ჯერ კიდევ 9 აგვისტოს აცნობეს. ფოთელი მოქალაქეების თქმით, დაღუპულთა რაოდენობამ ქალაქის ახალგაზრდებში 30-ს გადააჭარბა. მათი უმეტესობა, 27 ახალგაზრდა სენაკში განხორციელებული აბოზმების სახლი უნდა. 6 კი პორტის მეშვიდე ტერმინალში მომხდარი აფეთქებებისას. ასევე ბევრია დაჭრილი.

რამდენიმე სახლო წყაროს ინფორმაციით, დაღუპულთა შორის უმეტესობა 18-20 წლის ბიჭები არიან. ისინი მოულოდნელად ქუჩებში აიყვანეს მონაღისეებად და რუსეთის ტყვეად. ხოლო დაზარალების ტყეში განიხუნულმა ოფიცრებმა მიატოვეს.

იმვე წყაროს ცნობით, მარტო სამი საათის განმავლობაში ფოთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 30 მანქანა გავიდა, რომელმაც ევაკუირებული მოქალაქეები გაიყვანა. ფოთელი სახლური ტოვებენ და როგორც გურუის, ისე სამეგრელოს მიმართულებით, ნათესავეთა აფარებენ თავს.

ერგნეთიდან თბილისში ჩამოსვლა შეუძლებელი გახდა

უკვე ნდლა სოფელ ერგნეთში თბილისიდან საზაფხულო საზონზე ჩასვლა ნათესავეებს უშედეგოდ ემეზენ თბილისში დარჩენილი ოჯახის წევრები.

როგორც მათ შეგვატყობინეს, გორიდან თბილისისაკენ ტრანსპორტის მოძრაობა 8 აგვისტოსვე შეწყდა. შემთხვევით გამგეული ავტობუსები კი ხალხის ნაკადს ვერ იტყვედნენ.

„ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ სამსაათიანი მორატორიუმის გამოცხადებისას მაინც მოვახერხებდით მშობლივი სახლში დაგვებრუნებინა. მაგრამ მათ ამის შესახებ არც გაუგიათ. მობილური ტელეფონები გამოართულია და მათთან დაკავშირება შეუძლებელია. რად გვინდა ასეთი დაბრუნებული ცხინვალი, მთელი ქვეყანა თუ შეეწირა?!“ - განაცხადა სატელეფონო საუბრისას ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურებს უმოქმედობაში ადანაშაულებს.

თბილისის საინფორმაციო სააგენტო



მსოფლიოში ქართული დროშები აფრიალდა!

„საქართველოს ტკივილი ასლა ორმაგად გვტკივა!“

ქართველი ემიგრანტები პროტესტს გამოთქვამენ

საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები. მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს სამშობლოში დასასვენებლად გამოგზავნილ შვილებთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირება უჭირს.

ამის თაობაზე თბილისის საზოგადოებრივ-საინფორმაციო სააგენტოს ყოველ წუთში შემოსდის ინფორმაცია -ის მეშვეობით.


სააგენტოს წარმომადგენლის ნინო ცხოიძის განცხადებით, პოლანდიის დიასპორის ხელმძღვანელმა მარეს ტოგონიძემ გუშინვე მოახერხა სათანადო ნებართვის აღება, რათა დღეს, ქალაქ დენ ჰააგში რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია ჩატარებინათ.

ასევე შეშფოთებას გამოთქვამენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბელგიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, მალტიდან, საფრანგეთიდან, კვიპროსიდან, ესპანეთიდან.

მათ სურვილი გამოთქვას, გამოეხატათ თავიანთი მხარდაჭერა საკუთარი ხალხის მიმართ და პროტესტი რუსეთის აგრესიის მიმართ. ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სახმედრო ოპერაცია დიდი მსხვერპლით მიმდინარეობს და პროცესი გაურკვეველია. მაგრამ დასვენების დღეების გამო, აქციების ჩატარებას ოპერატიულად ვერ ასრულებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები. სამაგიეროდ, პირველსავე დღეს პოლანდიის ქართული დიასპორის პარალელურად, აქციები გამართეს გერმანიის ქალაქ მიუნხენში მცხოვრებმა ქართველებმა.



მალტა



პარიზი



სიუ-იორკი



ქართული სათვისტომო პოლანდიაში



ლონდონი




კვიპროსი



პოლანდია, ქალაქი დენ ჰააგი



მალტა



ქართველთა აქცია პოლანდიაში ადგილობრივი მედიის ინტერესი გამოიწვია

გუშინ, 11 აპრილს, ნიდერლანდების ერთ-ერთ ცენტრალურ ქალაქ ჰააგასში, სადაც ყველა სამთავრობო სტრუქტურა, პარლამენტი და საელჩოებია განლაგებული, 100-ზე მეტმა ქართველმა და რამდენიმე პოლანდიელმა საპროტესტო მიტინგი რუსეთის საელჩოსთან ჩაატარეს. ორსაათიანი აქციის მსვლელობისას პოლანდიურ და ქართულ ენებზე ისმოდა შეძახილები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და ევროპის სტრუქტურებისადმი მოწოდება, რომ მხარში ამოუდგნენ საქართველოს.

ეცა პეტრია - პროტესტი დღევანდელი სიტუაციის შესახებ.

„ამის შემდეგ ეს ადამიანები დაიძრნენ ჰააგის მშვიდობის სასახლისკენ და იქ გაგრძელდა მიტინგი“ - აცნობა თბილისის საინფორმაციო სააგენტოს ამსტერდამში მცხოვრებმა ქართველმა გიორგი ხუციშვილმა.

მისი თქმით, მიტინგმა, რომელიც ამჯერადაც პოლანდიაში ქართული დიასპორის მიერ იყო ორგანიზებული, პოლანდიის მედია საშუალებების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

საქართველოს დიასპორის ხელმძღვანელმა მარეს ტოგონიძემ პოლანდიაში კი გაცნობა, რომ აღნიშნული მასალები, ანუ მედიის მიერ ამ მიტინგის გაშუქების კადრები განთავსებულია დიასპორის საიტზე

თამარ ულუმბელაშვილი



პარიზი



პარიზის ცენტრში საპროტესტო აქცია ფრანგული შექანაობებით და ქართული ხალხური სიმღერებით მიმდინარეობს

„ძირს კომუნისტური ნარჩენები“, „საქართველოს გაუმარჯოს“, „ძირს რუსეთის აგრესია!“ - ასეთი შინაარსის შეძახილები ისმოდა საფრანგეთში რუსეთის საელჩოს წინ.

ამის შესახებ თბილისის საინფორმაციო სააგენტოში პარიზის ცენტრიდან სათვისტომოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ოთარ პატარიძემ ტელეფონით მიტინგიდან აცნობა.

მისი თქმით, 2 საათი მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, რომელსაც ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს ხელმძღვანელი ოთარ ზურაბიშვილი უძღვევოდა. ტელეფონში მისი შეძახილებიც ისმოდა, რომელსაც უამრავი ქართველის ხმა უერთდებოდა.

ამ ფორმით, ისევე, როგორც 17 აპრილს რტოკადეროს მოედანზე გამართული ფართომასშტაბიანი აქციისას, ქართველ ემიგრანტებს და საფრანგეთში მცხოვრებ სტუდენტებს სურთ ხმა მიაწვდინონ ევროპის საზოგადოებას, მხარი დაუჭირონ საქართველოს და დაემონ რუსეთის რეაქციული, დამპყრობლური პოლიტიკა.

მიტინგზე ფრანგულ და ქართულ ენებზე შეძახილებს, უძველესი ქართული სიმღერები და ქართული ჰიმნი ენაცვლებოდა.

თბილისის საინფორმაციო სააგენტო



კვიპროსი



ბარსელონა

ფოტოებზე ასახულია მალტაში, პოლანდიაში, საფრანგეთში, კვიპროსში, გერმანიაში, ბარსელონაში, ლონდონში გამართული ქართველთა საპროტესტო აქციები

მალტაში ქართველების მიერ გაართულ აქციას რუსი, ოსი, ინგლისელი და ფრანგი მოქალაქეების შეუერთდნენ!

ნათია ჯურჯუბია

14 აგვისტოს 18 საათზე მალტაში ქალაქ ფლორიანაში 50 ქართველი ამერიკის საელჩოს წინ შეიკრიბა. ეს იყო მშვიდობიანი აქცია, რომელიც სხვა ქვეყნებში ქართველების მიერ გამართული აქციებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ შეძახილების გარეშე, მხოლოდ ლოზუნგებით და ქართული დროშებით წარიმართა.

როგორც მალტადან ჩვენმა თანამემამულემ თეონა ჩიჩუამ გვაცნობა, ლოზუნგები იყო ასეთი შინაარსის „შტოპ ლუსსია“ და ითხოვდნენ თანადგომას ამერიკისაგან.

„აქციის შემდეგ პოლიციამ თავად შემოგვთავაზა, რომ დედაქალაქის ქუჩებში გავგვერძელებინა მშვიდობიანი მსვლელობა. ჩვენ შემოგვიერთდნენ ფრანგები, ინგლისელებიც და აღმოვაჩინეთ, რომ მალტადან საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, მალტალებიც გვამხნევენდნენ“ - განაცხადა თეონა ჩიჩუამ ჩვენთან საუბარში.

მისი თქმით, მშვიდობიან მსვლელობას ბევრი რუსი მოქალაქეც შეემატა. ზოგი მათგანი ცინიკური ღიმილით პასუხობდა, ზოგი კი თავდახრილი, მდუმარედ სწრაფი ნაბიჯებით შორდებოდა აქციას.

ერთ ღამეში საქართველო 260-მა უსსოელმა დატოვა

ენო ცხოიძე

11 აგვისტოს საფრანგეთის საელჩოში საქართველოში მყოფ თავის მოქალაქეებს აცნობა, რომ საღამოს საფრანგეთიდან პირველი ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოვიდა და მსურველებს შეეძლოთ ამავე მთვითმფრინავით გამგზავრება. 12 აგვისტოს, გამთენიისას საქართველოდან გაემგზავრა 260 უცხოეთის მოქალაქე. მათ შორის იყვნენ უცხოეთში (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი) მცხოვრები ქართული წამოშობის ადამიანები, უცხოელი ტურისტები და საქართველოში სამსახურებრივი მისიით მყოფი ადამიანები.

აეროპორტში მისულმა საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ განაცხადა, რომ ეს რეისი სრულდება მოქალაქეების სურვილის შესაბამისად და არა საელჩოს გადაწყვეტილებით. „ეს არ არის ევაკუაცია. საქართველოში არსებული ვითარების გამო, საფრანგეთი ჰუმანიტარულ ტვირთს გზავნის საქართველო-სათვის. თვითმფრინავი უკან ცარიელი რომ არ გაფრენილიყო, ჩვენ მივეცით საშუალება ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა

ლისტებთან ერთად, -ის კორესპონდენტი მალტაში აშუქებდნენ, რომლებმაც ფოტორეპორტაჟები ოპერატიულად გადასცეს.

ამ დილით კი უკვე ადგილობრივმა პრესამ დიდი ყურადღება გაამახვილა ამ მოვლენაზე. გამოვიდა გაზეთი „თჰე თიმეს“, რომელმაც მთელი გვერდი დაუთმო გუმინდელ აქციას.

„აქციას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებიც შემოუერთდნენ. მათ შორის იყო ერთი ოსი ეროვნების ქალი, რომელსაც ქმარი ქართველი ჰყავს. იგი არ მოგვგონებია აქციაში ბოლომდე და თქვა, მან გვითხრა, რომ ქართველი და ოსი ეს განუყოფელი ნაცილიაო და რომ ომის წინააღმდეგია. ფრანგმა მამაკაცმა კი ქართული დროშის ტარება მოინდომა. აქციაში მონაწილეობდნენ ქართველთა შვილები და ფეხმძივი ქალებიც“ - განაცხადა თეონა ჩიჩუამ

თეონასგან ისიც შევიტყვევთ, რომ ერთერთ ქართველს თან ახლდა რუსი ეროვნების მოქალაქე. მან განაცხადა, რომ ძალზე შეწუხებულია ამ ორი ერის დაპირისპირების გამო და გმობს ამ შემზარავ ომს.

აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა. ანალოგიური საპროტესტო აქციების ჩატარება მალტაში ისევ იგეგმება, თუ მანამ კონფლიქტი არ მოგვარდება.

მიზნით იმყოფებოდნენ საქართველოში, დაბრუნდნენ საფრანგეთში. მითუმეტეს, რომ ბევრი მათგანი ბავშვებითაა, აქ არიან ხანშიშესული ადამიანებიც“ - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ჩვენთან საუბრისას. მისივე თქმით, სიტუაციაა თბილისის ირგვლივ თანდათან დაიძაბა. ამდენად, ეს გადაწყვეტილება თავად უცხოელმა მოქალაქეებმა მიიღეს. საელჩო კი მათ მხოლოდ დაეხმარა, დროზე ადრე დაეტოვებინათ საქართველო.

უცხოელი ტურისტების თქმით, ისინი ძირითადად ბათუმსა და კახეთში იმყოფებოდნენ. „უკვე უსაფრთხოება არც ერთ კუთხეში არ არის გარანტირებული, ამიტომ ჩვენ ვწყვეტთ შევბუღებას და ვბრუნდებით სამშობლოში, რაც ძალიან დასახანია“ - განაცხადა ირანგმა ქალბატონმა. აეროპორტში იმყოფებოდნენ ქართველები რომლებიც უკვე საფრანგეთის მოქალაქეები არიან, ან იქ ცხოვრობის უფლება აქვთ მინიჭებული. ბევრი მათგანი საქართველოში აგვისტოს ბოლომდე აპირებდა დარჩენას, ზოგიერთი კი საკუთარი მანქანითაც იყო ყველა მათგანი იმ დილით იძულებით გაფრინდა პარიზში.

მშვიდობისა და სოლიდარობისადმი მოწოდებები თბილისის ეპროპის მოედნიდან და მსოფლიოდან ერთდროულად გაისმა

ენო ცხოიძე

წუხელ, გრინვიჩის დროით 17 საათზე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა, მათი მასპინძელი ქვეყნების მოქალაქეებმა და მეგობრებმა ერთდროულად კიდევ ერთხელ საპროტესტო აქციებით მოიცვეს თითქმის ყველა კონტინენტი.

მომიტინგეთა შორის ქართველებთან ერთად, ამჟერადაც გამოჩნდნენ რუსი და ოსი ეროვნების ადამიანები. მათი თქმით, ეს ჩვენი ერების საერთო ტკივილი და ტრაგედიაა. ამიტომ, პირველ რიგში, რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ შეწყდეს ცეცხლი და მათა მკვლელობა. რადგან ოსებსა და ქართველებს დიდი ხნის ახლობლობა და ნათესაობა აკავშირებთ, ისევე როგორც ქართველებსა და რუსებს.

პარალელურად, თბილისის დროით 20:00 საათზე რიყეზე მდებარე ევროპის მოედანზე ახალგაზრდების ინიციატივით მდუმარე აქცია გაიმართა.

ამ თავყრილობას კონკრეტული ორგანიზატორი არ ჰყავდა. იგი თანამოაზრეების ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა და ლონდონის ქართული სათვისტომოს ინიციატივით ფართომასშტაბიანი აქციების ერთ-

თგვარი გამომძახილიც გახდა. ქართველმა ახალგაზრდებმა სიმღერების, ლექსებისა და შეძახილების გარეშე, მხოლოდ მშვიდობისადმი მოწოდებებით მდუმარე აქციის გამართვა არჩიეს. თუმცა, ერთ-ერთმა მათგანმა, მალხაზ სალდაძემ გვითხრა, რომ ეს აქცია მიმართულია იმისათვის, რომ ევროპამ მეტი აქტიურობა გამოიჩინოს და აამოქმედოს ყველა ბერკეტი, რათა ზემოქმედება მოახდინოს რუსეთზე საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად.

აქციის ერთ-ერთი მონაწილე ოსი ქალბატონი, ნანა ცარაევა სახალხო დამცველის აპარატში ეთნოუმცირესობის საბჭოს წევრი აღმოჩნდა, დედათაც ქართველია და მეუღლე და შვილებიც ქართველები ჰყავს.

მან მოუწოდა ოს ხალხს, ნუ გადაიქცევიან ბრმა იარაღად და ნუ დაივიწყებენ საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ნათესაურ-მეგობრულ და მეზობლურ ურთიერთობებს.

„ჩვენ შერეული ოჯახების წარმომადგენლები განსაკუთრებით განვიცდით ამ სიტუაციას. ჩვენი შვილები და ოჯახის წევრები იღუპებიან. ვის მოვკითხოთ პასუხი?“ - განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

აქცია თითქმის ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

რუსეთი თავს დაესხა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატო-ს პატარა საქართველოზე

ალექსანდრე რუსმცხი

ვითარება ქვეყანაში ძალზე დაძაბულია. პრაქტიკულად იკვეთება საინტერესო დინამიკა უკვე დიდი ხანია ნათელი იყო, რომ ეს კონფლიქტი გასცდა მხოლოდ საქართველოს შიდა კონფლიქტს და საერთაშორისო ქართულ-რუსული კონფლიქტის კონტურებს იძენდა.

ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ეს კონფლიქტი ერთდროულად საშინაო და საგარეო კონფლიქტია. სწორედ ეს არის ამ კონფლიქტის სპეციფიკა.

მხოლოდ ახლა, კონფლიქტის გამწვავების პირობებში გამოიკვეთა ამ კონფლიქტის მთავარი შემადგენელი კომპონენტი. ცხადი ხდება, რომ ეს არის კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასა და ნატო-ს შორის სამხრეთ კავკასიაზე, შავი ზღვისა და კასპიის აუზებზე გავლენის მოსაპოვებლად.

თუკი საერთაშორისო საზოგადოება, მთლიანობაში, მოახერხებს მოლაპარაკებებს და დაიწყებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას კონფლიქტის დეესკალაციისაკენ, ამან შეიძლება მივიყვანოს ახალ სამშვიდობო პროცესებამდე. სოლო მისი ქვაკუთხედი იქნება, საგარეუდოდ, ფორმატი - რუსეთი-ნატო.

შესაბამისად, ისეთი საკითხები, როგორიცაა სიტუაციის მონიტორინგი კონფლიქტურ ზონებში, ერთობლივი პატრულირება ან სამშვიდობო ოპერაციები, განხილულ იქნება ახალ-რუსეთი-ნატო-ს ფორმატში.

ამ სისტემაში ევროკავშირმა მედიატორის ფუნქცია უნდა შეინარჩუნოს და საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ინიციატივამ მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს.

სწორედ ამიტომ ამ კონტექსტში დღეს რუსეთის ფედერაცია ცდილობს მოიპოვოს პოზიციური უპირატესობა. ჩვენ ვნახეთ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მხარე ხელი მოაწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რუსული საჯარისო შენაერთები წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მიიწვიეს წინ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით სვანეთისკენ, გორიდან უფლისციხისკენ. არის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რუსეთის ჯარი თბილისისკენ მოემართება.

ამავე დროს, საერთაშორისო მოლაპარაკებები პრეზიდენტებს: მედვედევსა და სარკოზის შორის არ არის საკმარისი სამოქალაქო უსაფრთხოებისთვის.

ყველაზე სამწუხაროა, რომ ამ მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ მოიტანა და ამის დასტურია ის, რაც მოხდა გუმინდელში. ფაქტობრივად, მეორედ დღეა, კონფლიქტის ზონაში მიდის ეთნიკური წმენდა, ძარცვა და მოროდორობა, მასობრივი ძალადობა მშვიდობიან მოქალაქეებზე.

ყველაზე დაუშვებელია, რომ რუსი „სამშვიდობოები კონფლიქტურ ზონებში არ უშ-



ვებენ „წითელი ჯვრის“ მისიას, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებზე, რაც, ფაქტობრივად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაა.

ფაქტობრივ, რუსეთი თავს დაესხა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატო-ს და ამისთვის პატარა საქართველო გამოიყენა. ამის დასტურია სტრატეგიულად მნიშვნელოვან პორტ სუფსაზე თავდასხმა, ფოთში გაანადგურეს ქართული სომხალელები. ეს პორტი კი ერთერთი მთავარი სანაფთოპორტია.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე ერთი მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა, ვგულისხმობ აფეთქებას თბილისის-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობმაგისტრალის თურქეთის მონაკვეთზე. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ქურთმა სეპარატისტებმა აიღეს. ნავთობსადენი 15 დღის განმავლობაში არ იფუნქციონებდა. ეს ყველაფერი კი მის მომასწავებელია, რომ ნავთობმაგისტრალის ნოვოროსისკის გავლით დაიწყებს მოძრაობას.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა - ეს სომ არ იყო საქართველოში რუსეთის „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა?

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი 13.08.08 დამოუკიდებელი თბილისი



მსოფლიოში გაზრდილი ქართველები ახლა ორმაგად განიცდიან სამშობლოსთან განშორებას



საქართველო მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არ ყოფილა დამპყრობელი ქვეყანა, მაგრამ ის ყოველთვის თავგამოდებით აცავდა და დაიცავს თავის სახელწოდებებს. 2008 წელს 1 დან 7 აგვისტომდე გამუდმებით იბრძებოდა საქართველოს ტერიტორია რუსეთის მხრიდან რათა დაეწყო კარგად დაგეგმილი გამოუცხადებელი ომი ოსეთისა და აფხაზეთის სახელს ამოფარებულს


რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული აგრესიის დასაგმობად, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ იმართება მშვიდობიანი აქციები, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს რომ საქართველოში ის ფასეულობები რასაც ქვეყა დემოკრატია და თავისუფლება, მაგალ სიმაგლეებსე დგას

განსაკუთრებით რთული აგმონდა მშვიდობიანი აქციების ჩატარება რუსეთის დაქვემდებარების ქვეშ მყოფ სომხეთში, სადაც მოსახლეობა სრული ინფორმაციის ვაკუუმშია და მიუწოდებით მხოლოდ რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გაგრცელებული ინფორმაციები

სომხეთში მყოფმა საქართველოს, სომხეთის, ამერიკის მოქალაქეებმა, მოაწყვეს მშვიდობიანი აქცია რუსეთის საელჩოსთან. მიუხედავად მიწოდებული ინფორმაციისა, სომხეთის მედიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ გააშუქებდნენ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ

აქციას. აქიდან გამომდინარე დაიწყო მსვლელობები ერევნის ქუჩებში, რომელიც ატარებდა ინფორმაციულ ხასიათს. სომხეთის მოსახლეობა გაოგნებული იყო იმ ინფორმაციით, რომელიც მათ ჩვენგან მოისმინეს. მათი

მხრიდან იყო გამამხნეველი შექაბილები, ქუჩაში შემსვდარი მოძრავე აგრომობილებიდან იყო მხარდამჩერი სფანალები, იგრომობიდა სრული გვერდში დგომა და დაგობა სომხეთის იმ ბრორუსული პოლიტიკისა, რაც ამჯამად მიმდინარეობს.



კვიპროსზე რამდენიმე დღიანი აქციები გაიმართა

როგორც თბილისის საინფორმაციო სააგენტოს კვიპროსში მსოვრებმა ქართველმა ქალბატონმა აცნობა, ექვსი დღეა კვიპროსზე მცხოვრები ქართველები საპროტესტო აქციებს ატარებენ რუსეთის საელჩოს წინ. 14 აგვისტოს, როდესაც ევროსაბჭოში განიხილეს საქართველოს საკითხი მოეწოდებინა მსვლელობა. დილის 10 სთ-ზე ქართველები შეიკრიბნენ რუსეთის საელჩოსთან და გაემართნენ ევროსაბჭოს შენობისაკენ. შემდეგ დაბრუნდნენ ისევ რუსეთის საელჩოსთან და გააგრძელეს საპროტესტო აქცია. 15 აგვისტოს კი სამდღიან გლოვასთან დაკავშირებით მდუმარე აქცია მიმდინარეობდა. „ქეცბაიას გუნდი დღევანდელ თამაშს შავი ლენტეხით ატარებდა. ადგილობრივი სატელევიზიო არხები და პრესა ფართოდ აშუქებენ როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ისე ჩვენს საპროტესტო აქციას. ქართველები ჩამოდიან სხვადასხვა ქალაქებიდანაც: ლარნაკა, პაფოსი, ლიმასოლი“- განაცხადა ჩვენმა თანამემამულე სათუნა სუთიძემ.

ქართველ სტუდენტებს არეპანში პროტესტის გამო საფრთხე შეექმნათ

საქართველოში განვითარებული უმძიმესი ვითარების გამო, რაც რუსეთის აგრესიის არნახულ მასშტაბებს უკავშირდება, ორი დღის განმავლობაში ხმას იმაღლებდნენ სომხეთში მცხოვრები ქართველი სტუდენტები. როგორც თბილისის საინფორმაციო სააგენტოს ერევნიდან ქართველმა სტუდენტმა ილია გოგიჩაიშვილმა აცნობა, ამ დღეების განმავლობაში რუსეთის საელჩოს წინ გამართული აქციებისა და მშვიდობიანი მსვლელობისას, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მათ სოლიდარობას უცხადებდა შექაბილებით „რუსეთი აგრესორი!“ თუმცა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და რუსეთის მიმართ არაოპოზიციური განწყობა მაინც დიდია. „ჩვენს აქციებს მხარდამჭერები უცხოელების მხრიდანაც გამოუჩნდნენ. პოლიციამ ჩვენი ამერიკელი მეგობრის გადაღებული სურათების წართმევა მოინდომა და დაგვე-მუქრა, თუ ფირებს არ გაეანადგურებთ, დაგვაკავებენ“- განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას ილია გოგიჩაიშვილმა. მისი თქმით, პოლიციამ ამ ფაქტის შესახებ უკვე იმ უნივერსიტეტის რექტორატსაც დაურეკა და სტუდენტებს გაფრთხილება მიეცათ, თუ მსგავს გამოსვლებს არ შეწყვეტენ, მათ დააპატიმრებენ. ამას გარდა, პროვოკაციების მოწყობა საქართველოს საელჩოს მიმართ განხორციელდება და ამ აქციის მოწყობაში დაადანაშაულებენ. „ასევე შემოიჭრნენ საცხოვრებელ ბინებში და ქართული დროშები აიგნებიდან მოგვასხნევინეს. მიუხედავად ამგვარი წეზოლისა, გუშინ –ს პირდაპირ ეთერში მაინც ჩავერთე და საქართველოში მიმდინარე მოვლენები მაინც გავამუქე“- განაცხადა ილია გოგიჩაიშვილმა. ამის გამო ქართველი სტუდენტები ხვალ დილით საქართველოში გამოგზავრებას აპირებენ, რათა თავიანთი პროტესტი საკუთარ ქვეყანაში უფრო უსაფრთხოდ გამოხატონ.